

ონლაინ აზარტული თამაშები საქართველოში და
მოზარდების წვდომა მათზე

სოფიო ბაჩილავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო ბაჩილავა ----- 23.06.16

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოში მოზარდების და მათი მშობლების აზარტული თამაშების მიმართ დამოკიდებულებები და ზოგადად, მოზარდების გემბლინგზე წვდომის საკითხები. აღნიშნული თემების შესწავლისთვის ჩატარდა კვლევები გემბლერ მოზარდებში და 12 წლიდან-18 წლამდე მოზარდების მშობლებში.

ნაშრომი მოიცავს აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული მედია პოლიტიკის, ონლაინ ტოტალიზატორებისა და კაზინოების ვებ-გვერდების ასევე, აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული ქართული კანონმდებლობის მიმოხილვას.

ნაშრომზე მუშაობისას ჩატარებულ კვლევებში გამოყენებული იქნა, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან: დოკუმენტაციის ანალიზი, პირისპირ და სატელეფონო ინტერვიუები და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან ანკეტური კვლევა.

კვლევის შედეგებში წარმოჩენილია ის ხერხები, რომელთა გამოყენებითაც არასრულწლოვნებს ონლაინ აზარტულ თამაშებზე აქვთ წვდომა და მიზეზები თუ რატომ იწყებენ მოზარდები აზარტულ თამაშებში ჩაბმას.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ამ სფეროში მოღვაწე კომპანიები ცდილობენ რეკლამების მეშვეობით მაყურებლებში აზარტული თამაშები წარმოაჩინონ, როგორც გართობის და ფულის მოგების წყარო. ამასთან, საქართველოს კანონში რეკლამის შესახებ არ არის მითითებული წესები აზარტული თამაშების რეკლამირების შესახებ. რაც შეეხება, ონლაინ ტოტალიზატორებისა და კაზინოების ვებ-გვერდებს, დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საიტების ადმინისტრაციების მხრიდან არ ხდება სათანადო ზომების მიღება, რათა თავიდან აირიდონ არასრულწლოვნის მათ ვებ-გვერდზე დარეგისტრირება .

აღნიშნული აღმოჩენები, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც აზარტულ თამაშზე დამოკიდებულ ბენეფიციართან მომუშავე სოციალური მუშაკის მიერ, მასთან მუშაობის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის, ასევე, ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ ან შემდგომში იმუშავენ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული პოლიტიკის გამკაცრების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: აზარტული თამაშები, პრობლემური გემბლინგი, დამოკიდებულება, მოზარდები, პოლიტიკა, ონლაინ გემბლინგი

Abstract

The purpose of the presented work is to state what attitude Georgian teenagers and their parents have towards gaming and in general to what degree teenagers have access to gambling. To study this issue, special studies were conducted among gambler teenagers and 12 to 18-aged, teenage children's parents.

This work includes survey of media politics on gambling, survey of web pages of online Betting and Casinos and also survey of Georgian Legislation regarding gambling.

While doing this research work both, qualitative and quantitative, methods of research were used. Namely, from qualitative methods - documentation analyzing, face to face and via phone interviews; and from quantitative methods – questionnaire study.

In the results of the carried out research work are shown the ways using which teenagers have access to gaming, and are presented reasons why they start gaming.

The results reveal that companies working in this field, through various advertisement try to persuade TV viewers that gambling is source of entertainment and of earning money. Moreover, in Georgian Legislation on Advertising there are no stated rules on gambling publicity. Concerning web pages of online Betting and Casinos, according to research it could be said that executives of web pages do not take appropriate measures to prevent non-adults' registration on their web pages.

All above mentioned results could be used by both, social workers for effective corporation with beneficiaries who are addicted to gambling, and also by organizations already working or those which will be working in future on the issues of restricting policy on gambling.

Key Words: gambling, problem gambling, addiction, adolescents, politic, online gambling